

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან
80 წლისთავისადმი მიძღვნილი
სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია



პროგრამა და თეზისები

25 მარტი
2024

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

თეიმურაზ პაპასქირი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან გარდავაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე);

ირინა ნოზაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ბადრი სულხანიშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სტუდენტი

ლიზი ყიფიანი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

დავით დეკანოიძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

რეგლამენტი:

მოსვენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

ორშაბათი, 25 მარტი
10.00

კონფერენციის გახსნა
თსუ | კორპუსი, აუდიტორია 202

მისალმებაები

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ფილოლოგია, ფილოსოფია
სხდომის თავმჯდომარე – დოქტორანტი ირინა ნოზაძე

10.30 – 13.00
თსუ | კორპუსი, აუდიტორია 202

ანა ბარათელი

ფორსაიტობი და განსხვავებულობა „ფორსაიტების საგას“ პირველ წიგნში „მესაკუთრე“

ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი თამარ გელაშვილი

ნინა ზიგერი

არტურ ლაისტი – საქართველოს დიდი მეგობარი

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ლევან ბრეგაძე

ქეთევან სამადაშვილი

ესმა ონიანის ლირიკული ფერწერული ტილოები

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ პაიჭაძე

გიორგი ხელიძე

„ღმერთის სიკვდილი“ დასავლურ ფილოსოფიაში და მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ინტერპრეტაციები

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია

13. 00-14. 00

შესვენება

ისტორია

**სხდომის თავმჯდომარე – ასისტენტი პროფესორი
ოშიკო ეჭიბია**

14. 00 -18.00

გიორგი ქყოიძე

ბაბილონური სიბრძნე ბიბლიის ძველ წიგნებში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ეჭიბაძე

ზურა ჯავახიშვილი

1812 წლის კახეთის აჯანყების ისტორიიდან – ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე

მარიამ ჯიბაშვილი

ალბერტ რის უილიამსი რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის მოვლენების შესახებ

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დალი კანდელაკი

სანდრო ზუხბაია

ქართულ-გერმანული ურთიერთობა და ფოთის შეთანხმება 1918 წელს

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი

თეზისები

ანნა ბარათელი

ფორსაიტებში და განსხვავებულობა „ფორსაიტების საგას“ პირველ წიგნში „მესაკუთრე“

ყოველდღიური ცხოვრებისეული მოვლენებისა თუ ადამიანური მოტივების გამოყენება იმდენად ხშირია მხატვრულ ლიტერატურაში, რომ ნარატიული სახეები და მათი ცხოვრების წეს-ჩვეულებები ხშირად ამა თუ იმ ნაწარმოების ძირითად თემად იკვეთება. ინგლისელი მწერლის ჯონ გოლზუორთის ნაწარმოებშიც „ფორსაიტების საგას“ არაა ამ მხრივ გამონაკლისი, განსაკუთრებით კი პირველი წიგნი „მესაკუთრე“. ჯონ გოლზუორთის „ფორსაიტების საგას“ მეოცე საუკუნის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია, რადგან მან გადაუხვია სიუჟეტის ტრადიციულ გაგებას და მისთვის საინტერესოა არა კონკრეტულად ფორსაიტების გვარი, არამედ მისი განზოგადება. ეს რომანი იმდროინდელ დიდგვაროვანთა ოჯახებს მიემართება, რაც მისი მრავალმხრივ ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს.

ნაწარმოებმა არსებითი გავლენა იქონია არა მხოლოდ იმდროინდელ მკითხველზე, არამედ თანამედროვე საზოგადოებაზეც, ვინაიდან გოლზუორთი ასახავს გმირებს, რომლებსაც აერთიანებთ არა მხოლოდ წარმომავლობა და ნათესაური კავშირი, არამედ მათი დამოკიდებულება სიცოცხლის არსისა და მიზნის მიმართ, თუ რა ფასეულობები და ღირებულებები გააჩნიათ მათ და რა ხდება, როდესაც რომელიმე მათგანი გადაუხვევს ამ წეს-ჩვეულებებს. ჯონის ფორსაიტებს წარმოადგენს არა მხოლოდ როგორც გვარს, არამედ ერთგვარ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მახეს, რომლის მარწმუნებშიც თითოეული მათგანია მოქცეული. ერთი შეხედვით, რთულია ფორსაიტების განზოგადებულად იდენტიფიცირება, თუმცა გარკვეულ ეპიზოდებზე დაყრდნობითა და ავტორის შეხედულებათა გათვალისწინებით შესაძლებელია მისი დასაბუთება.

წინამდებარე მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია არა იმ წარმოდგენებზე, რომლებიც ზოგადად გავრცელებულია დიდგვაროვანთა ცხოვრების მიმართ, არამედ გოლზუორთის მიერ ფორსაიტებში, როგორც სენის ანალიზზე. ტექსტობრივ ანალიზსა და ავტორის დამოკიდებულებაზე დაყრდნობით მოხსენება წარმოაჩენს იმდროინდელი სოციუმის მდგომარეობას, მათ საერთო მახასიათებლებსა და მიზნებს. მოხსენების მიზანია ასევე იმ განსხვავებებისა და თავისებურებების წარმოჩენა, რომლებიც გოლზუორთის მიერ ინტერპრეტირებულ

„განსხვავებულ“ პიროვნებას წარმოაჩენს. ყურადღება გამახვილებული იქნება სხვადასხვა პერსონაჟსა და ნარატიულ-ეპიზოდურ დეტალებზე, რომლითაც ფორსაიტებში დახასიათებული აქვს ავტორს.

ნინა ზიგერი

არტურ ლაისტი – საქართველოს დიდი მეგობარი

ქართულ-გერმანულ ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია და წვლილი მიუძღვის გერმანელ მწერალსა და პუბლიცისტს, ჟურნალისტსა და მთარგმნელს – არტურ ლაისტს. როგორც ილია ამბობდა: „ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იდო, შუა კაცობა გაგვინიოს ჩვენსა და ევროპას შორის“. ლაისტი ბევრ ენაზე საუბრობდა და წარმატებული ჟურნალისტიც იყო. მან მალევე ისწავლა ქართული ენაც, დაინტერესდა ქართველი ხალხით, მისი ისტორიითა და ქართული ცხოვრების წესით. არტურ ლაისტი საქართველოს სამჯერ ეწვია 1884-1892 წლებში. ხოლო 1892 წელს დამკვიდრდა და ცდილობდა, აქტიური მონაწილეობა მიეღო ქართველთა და, ზოგადად, საქართველოს ცხოვრებაში.

ევროპელ მოაზროვნეებსა და მწერლებს შორის ყოველთვის იყო ინტერესი ქართული ლიტერატურის მიმართ. მათ შორის არტურ ლაისტიც იდგა, რომელიც გაეცნო ქართველ მწერლებს. ქართველ პიროვნებებთან და დიდ მწერლებთან ურთიერთობით, მან გამოსცა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაშრომები: „Das georgische Volk“ (ქართველი ხალხი), „Georgische Dichter“ (ქართველი პოეტები), „Georgien“ (საქართველო). აღსანიშნავია ისიც, რომ არტურ ლაისტმა ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, აკაკი წერეთლისა და დავით ერისთავის დახმარებით გერმანულ ენაზე თარგმნა საქართველოს უმნიშვნელოვანესი ისტორიული განძი „ვეფხისტყაოსანი“ („Der Recke im Tigerfell“).

ლაისტი იყო პირველი უცხოელი მკვლევარი, რომელმაც თავის ნაშრომებში გააანალიზა ნამყვანი ქართველი რომანტიკოსების შემოქმედება. იგი ცდილობდა, ევროპული საზოგადოებისათვის გაეცნო ქართული რომანტიზმის სკოლის წარმომადგენელთა აზროვნება, რათა ნათლად გამოეკვეთა კავშირი ქართულსა და ევროპულ ლიტერატურას შორის.

1906 წლის 18 ივნისს გამოვიდა „Kaukasische Post“-ის (გერმანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი თბილისში) პირველი ნომერი. მისი გამომცემელი და დამაარსებელი გახლავთ კურტ ფონ კუჩენბახი, პასუხისმგებელი რედაქტორი კი – არტურ ლაისტი. მან იქ მრავალი ნომერი გამოაქვეყნა.

მოხსენებაში შევეხებით არტურ ლაისტის საქართველოში მოღვაწეობასა და ვიზიტებს. გაგაცნობთ გერმანელი პუბლიცისტისა და მწერლის მიერ “Kaukasische Post“-ში გამოცემულ ნომრებს. აგრეთვე განვიხილავთ, თუ როგორი ხედვა გააჩნდა მას წამყვან ქართველ რომანტიკოსთა მიმართ.

ქეთევან სამადაშვილი

ესმა ონიანის ლირიკული ფერწერული ტილოები

ესმა ონიანი, როგორც პოეტი, სიღრმისეულად აფასებს მოვლენებს, საუბრობს შესაძლებლის ალბათობაზე და წარსულის სურათებს აცოცხლებს. ლირიკული სინამდვილე არა მხოლოდ კონკრეტულის, აბსტრაქტულის წვდომის საშუალებასაც გვაძლევს, შთაგონების მიღმა დგას – გაცილებით ტევადი და მნიშვნელოვანია.

მოხსენების მიზანია, წარმოადგინოს XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკული ლექსის სამსახურში ჩამდგარი, მაგრამ საბჭოთა პოეტთა ამქარში არაღიარებული ავტორის – ესმა ონიანის ნაწარმოებთა თემატური მრავალფეროვნება, ლექსის გამომსახველობითი საშუალებები და სიღრმეები.

საკითხის განხილვას წინ უძღოდა მასალის შესწავლა, სისტემატიზება, განზოგადება, ლიტერატურული ნაწარმოებების კლასიფიცირება მათი საერთო მახასიათებლების მიხედვით. საკვლევი პერიოდის ლირიკული ლექსის ანალიზი შესრულებულია დაკვირვების, გაგების, აღწერისა და ტექსტის დიალოგურობის ინტერპრეტირების მეთოდების მეშვეობით. ესმა-ობემა ონიანი 60-იანელთა ერთ-ერთი თვითმყოფადი, გამორჩეული პოეტური ნიჭით დაჯილდოებული წარმომადგენელია, მისი ლირიკული პოეზია კი ესმა ონიანის, როგორც მხატვრის, ფერწერის გაგრძელებაა – ცოცხალი და ნამდვილი. პოეტი ადამიანებისათვის რაღაც მივიწყებულის, ნაცნობ-ჩვეულებრივის, ძირეულის შეხსენებას ცდილობს.

ესმა ონიანის ლირიკულ ლექსებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბავშვობის მოგონებების სურათებს, რომელთაც უმთავრესად დედის ხატება განსაზღვრავს; მამისა და უხუცესი წინაპრებისადმი მიძღვნილი ლექსები კი ფოლკლორულ მოტივებს ეხმიანება.

პოეტს, როგორც სვანეთის ზვიადი ბუნებისა და, ამავედროულად, ტკბილმოდულუნე იმერეთის შვილს, ეამაყება, რომ მისი გვარი ერთ-ერთი ძირძველი და შეუბღალავია ქართულ საგვარეულოებს შორის.

ე. ონიანი აკაციის ყვავილის აპოლოგეტია, მის პოეტურ შემოქმედებას ისევე იკითხება ფერთა ჰარმონია, როგორც ფერწერულ ტილოებში:

ყვითელი, შავი, ვარდისფერი, გამორჩეულად კი – ენდროსფერი წითელი – პოეტის ფავორიტი ფერებია.

ე. ონიანის ლექსები მოგონებებით სულდგმულობს, თვით სიყვარულიც წარსულის ბურუსშია გამოხვეული.

ქარი პოეტის შემოქმედების მუდმივი თანამგზავრია, ასოციაციების გამომწვევი, მარადიული სტიქია. პოეტი მძაფრად აღიქვამს და განიცდის მას.

ცალკე უნდა გამოიყოს პოეტური ნეოლოგიზმების საკითხიც, რაც უხვად გვხვდება ე. ონიანის ლირიკულ ლექსებში.

„სხივი ბროწეულის“ ესმა ონიანის ფერწერული შემოქმედების გამოძახილია – ფერადი, მარადიულ-ნოსტალგიური, მარადიულ-ქალური. იგი ღვთისაგან კურთხეული ყალბითა და კალმით ურთულეს მიზანს ემსახურება, რადგან პოეტის ლექსებში ვერ ამოიცნობთ დაშტამპულ საბჭოთა პოეტს – მუდამ ირეალურისა და რეალურის ზღვარზე განფენილ ზოგადსაკაცობრიო თემებს ერკინება და უშრეტ საფიქრალსა და სააზროვნოს გვთავაზობს.

გიორგი ხელიძე

„ღმერთის სიკვდილი“ დასავლურ ფილოსოფიაში და მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ინტერპრეტაციები

დასავლური ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ინტელექტუალურ და კულტუროლოგიურ მოვლენას მე-19 საუკუნის მიწურულს ფრიდრიხ ნიცშეს მიერ „ღმერთის სიკვდილის“ გამოცხადება წარმოადგენს, რასაც თავისი ისტორიული და ფილოსოფიური კონტექსტი ჰქონდა. ღმერთის სიკვდილის თეოლოგიური გააზრება თავდაპირველად პროტესტანტიზმში გვხვდება, რომელიც ქრისტეს ინკარნაციასა და ჭვარცმით სიკვდილთან დაკავშირებულ თეოლოგიურ საკითხებს მოიაზრებს.

ღმერთის სიკვდილის პროტესტანტულ-თეოლოგიური გააზრება თემატურად დაგვაკავშირებს ქრისტეს, როგორც ღმერთის, სიკვდილის ჰეგელისეულ ინტერპრეტაციასთან, რაც პარადოქსია, თუმცა ჰეგელის დიალექტიკურ ფილოსოფიაში ეს პარადოქსი დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპით აიხსნება. ჰეგელის ამ იდეის ანალიზს თანამედროვე სლოვენელი ფილოსოფოსის სლავოი ჟიჟეკის მოსაზრებებიც ეხმიანება. ასევე, საყურადღებოა პესიმისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის – ფილიპ მეინლენდერის მოსაზრებები, რომელმაც ღმერთის სიკვდილი კულტუროლოგიური ან თეოლოგიური პერსპექტივის ნაცვლად ონტოლოგიური მნიშვნელობით განიხილა, რაც უნიკალური შემთხვევაა ფილოსოფიაში, სადაც ღმერთის

„სიკვდილი“, ყოველგვარი გადატანითი მნიშვნელობის გარეშე, ონტოლოგიურ სიკვდილს ნიშნავს. ეს მოსაზრება მეინლენდერის მეტაფიზიკური სისტემიდან გამომდინარეობს, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება თავისი წინამორბედის არტურ შოპენჰაუერის „ნების“ მეტაფიზიკას.

„ღმერთის სიკვდილის“ კულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას იზიარებენ მაქს შტირნერი და ფრიდრიხ ნიცშე. შტირნერმა ნიცშეზე ადრე დაახასიათა ღმერთის სიკვდილი დასავლურ საზოგადოებებში, როგორც ადამიანების მიერ ღმერთის მკვლელობა, რათა ადამიანებს მისი ადგილი დაეკავებინათ. ნიცშემ კი მართებულად განჭვრიტა მოსალოდნელი ნიჰილიზმი, რომელიც მოჰყვებოდა ღმერთის სიკვდილს, რაც, მისი აზრით, სწორედ ქრისტიანული პარადიგმის ლოგიკურ ფინალს წარმოადგენს.

გიორგი ქყოიძე

ბაბილონური სიბრძნე ბიბლიის ძველ წიგნებში

ებრაულ-არამეულ სამყაროს შუამდინარეთისაგან და საკუთრივ ბაბილონისაგან მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა ერგო. ეს ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს ქრისტიანთათვის წმინდა წიგნში – ბიბლიაში.

ბაბილონური მემკვიდრეობა შეიძლება დავალაგოთ ენის, სიბრძნისა და იდეის თვალსაზრისით. თუმცა, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და შესამჩნევი პირდაპირი მემკვიდრეობა და ხაზია წარღვნის მითის სახით, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიაში პირდაპირ ჩანერილია შუამდინარული წარღვნის მითიდან. რასაკვირველია, შეცვლილია სახელები, კერძოდ, უბარა-თუთუს ძე უთნაფიშთიმი ბიბლიაში გვევლინება ნოედ.

როდესაც ვსაუბრობთ ბაბილონურ მემკვიდრეობაზე, შეუძლებელია არ გავამახვილოთ ყურადღება „გილგამეშიანზე“, რადგან წარღვნის მითი ეპოსის (აქადურად *ša naqba imuru*-ვინც სიღრმე იხილა) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ბაბილონური ლიტერატურის სიბრძნის (Babylonian Wisdom Literature) პარალელებს ბიბლიასთან (ფსალმუნნი, ქებათა-ქება სოლომონისა, დავითის ხუთწიგნეული, სიბრძნე სოლომონისა), რაც ნამდვილად თვალში საცემია და ეს ყველაზე კარგად აისახება წარღვნის მითით.

ზურა ჯავახიშვილი

1812 წლის კახეთის აჯანყების ისტორიიდან – ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით

მე-19 საუკუნის დასაწყისი, არავისთვის გასაკვირი და არახალია, რომ ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია. სწორედ აღნიშნულიდან იწყება ქართველი ხალხის ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების ფერხულში ჩაბმა, რადგან ამ დროიდან ჩვენი ერის ცხოვრება გადაეჯაჭვა რუსეთის იმპერიას. მოხსენებაში აღწერილია ალექსანდრე ბატონიშვილის შეუპოვარი ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ამ ადამიანმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება რუსეთისგან საქართველოს განთავისუფლებას შესწირა. მართალია სანადელს ვერ მიაღწია, მაგრამ იგი თავისუფლებისთვის ბრძოლის, მტერთან შეურიგებლობის სიმბოლოდ იქცა და მისმა დადებულმა აგურმა მომავალ თაობაში გამოიღო შედეგი. აღნიშნულ ბრძოლაში ალექსანდრესთვის საკვანძო მომენტი იყო 1812 წლის კახეთის აჯანყება და უფრო დიდწილად მისი მესამე ეტაპი, რომელსაც თავად ედგა სათავეში. სწორედ ეს აჯანყება გახლავთ საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ქართველი ერის ისტორიაში. ამ აჯანყების გამომწვევი მიზეზი კი გახდა ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც ქართველი ერი აღმოჩნდა რუსეთის ბატონობის ქვეშ, რაც გამოიხატა მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. გაუსაძლისი იყო მოსახლეობისთვის მე-19 საუკუნის დასაწყისი. გაუთავებელ ჩაგვრასა და შეურაცხყოფას ბოლო არ უჩანდა. ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად ქართველმა ერმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია უზარმაზარ იმპერიას, სახელმწიფოებრიობისა და თვითმყოფადობის გადასარჩენად. ამგვარმა ქმედებამ ცხადყო, რომ ხალხი არ შეურიგდებოდა არსებულ მდგომარეობას. გამოყენებული ლიტერატურის გათვალისწინებით, აღწერილია ალექსანდრე ბატონიშვილის ღვაწლი, ქართველ ხალხთან ერთად რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მარიამ ჯიბაშვილი

ალბერტ რის უილიამსი რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის მოვლენების შესახებ

1917 წელს რუსეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა შეცვალა ისტორიის მსვლელობა არა მხოლოდ რუსეთისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. თებერვლის რევოლუციის შედეგად დაემხო რომანოვების დინასტია, რუსეთმა როგორც იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. დამყარდა ახალი პოლიტიკური სიტუაცია. სახელმწიფოს მართვა გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში, 24 ოქტომბრიდან პეტროგრადში განვითარებული მოვლენების, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

მრავალი უცხოური ჟურნალ-გაზეთი აშუქებდა ინფორმაციას მთელი 1917 წლის განმავლობაში საბედისწერო გარდაქმნების ქარცეცხლში მყოფ რუსეთზე. ამ პერიოდში რუსეთში მყოფმა ბევრმა უცხოელმა აღწერა ოქტომბრის მოვლენები, შეიარაღებული აჯანყების მიზეზები და შედეგები. მათი ნაწარმოებები მნიშვნელოვანია საბჭოთა რუსეთის პირველი ნაბიჯების შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში.

ალბერტ რის უილიამსი რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის მოვლენების ერთ-ერთი თვითმხილველი იყო, იგი პეტროგრადში “New York Post“-ის დაკვეთით ჩავიდა, რათა გაეშუქებინა ნიკოლაი II-ის დამხობის შემდგომ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. წიგნი „მოგზაურობა რევოლუციაში – რუსეთი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში 1917-1918“ ალბერტ რის უილიამსის გარდაცვალების შემდგომ, ავტორის შენიშვნებისა და ჩანაწერების საფუძველზე გამოიცა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის სიმპათიები ბოლშევიკების პარტიისა და მისი წარმომადგენლების მიმართ აშკარაა და წიგნი ინარჩუნებს პროპაგანდისტულ ხასიათს, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ საფუძვლიან მცდელობას, მოახდინოს რუსული რევოლუციის ზუსტი ინტერპრეტირება დასავლელი მკითხველისთვის. ალბერტ რის უილიამსის წიგნი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მათთვის, ვისაც სურს სიღრმისეულად შეისწავლოს 1917 წლის რუსული ოქტომბერი.

სანდრო ზუხბაია

ქართულ-გერმანული ურთიერთობა და ფოთის შეთანხმება 1918 წელს

1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც გერმანიის მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით მოხდა. რაიხის ხელისუფლება სათანადოდ აცნობიერებდა საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის უნიკალურობას. იგი ცდილობდა, რომ რუსეთისათვის სერიოზული პრობლემა გაეჩინათ კავკასიაში მძლავრი, გერმანიაზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს წარმონაქმნით.

1918 წლის მაისიდან დეკემბრამდე გერმანია და საქართველო მოკავშირეებს წარმოადგენდნენ – გერმანული ჯარი საქართველოში ამ ქვეყნის მთავრობის მოწვევით იმყოფებოდა და შინაგანი სტაბილურობის მტკიცე გარანტი იყო.

1918 წლის 28 მაისს ფოთში გერმანიის საიმპერატორო მთავრობის წარმომადგენელმა, ბავარიის სამეფოს გენერალ-მაიორმა, ფონ ლოსოვმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა ხელი მოაწერეს „დროებით შეთანხმებას საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“, რომელიც დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა.

მოსხენებაში მიმოვიხილავთ ფოთის შეთანხმებაში შემავალ პუნქტებს, დეტალურად შევხებით პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკური საკითხებს.

